

სსრსის ფურცელი

36

VI V. ურავლ-ლიური გამოცემა 1901 საგზაბათი, 23 იანვარი № 1362

გაზეთი დას: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტრიტი“ პირველ გვერდზე—10 კ. მეორეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოაბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ფანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამოც. ქართველთა აზნაუგობის კოლსკში (ქვაშეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოწერელი წერილები არ დაბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
ჩაღმდების კანტორა იმყოფება ფანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუხოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моამბე“. ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

ს უ თ შ ა ბ ა თ ს, 25 ი ა ნ ვ ა რ ს 1901 წ.

ქართული დრამატული სწოვადობების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება 3. გამაჰალიძის და 3. კანდელაკის საბანდოვროდ ვლ. სან. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით.

პირველად ახალი და პრემიით დაჯილდოვებული პიესა

ი ა ნ ი რ ა რ ი

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ვაბუნი-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, მდივანი და ვარელი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, მირიანაძე, იმედაშვილი, სარჯველაძე, იორდანიძე, ბეგლარა და სხ.

შემდეგი წარმოდგენაა კ. მესხის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „მადამ-სან-ჟან“.

მზადდება წარმოსადგენად „ორი ზმირი“ და „ცინის საიდუმლო“.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი 3. გუნია.

ბ.ბ-ს ჯაფარიძისა და კვიციანიძის სამკის გამოც.

ამას წინადა ერთ-ერთ რუსულ გაზეთში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია ქუთაისიდან, რომელშიაც შემდეგი იყო ნათქვამი:

ქ. ოზურგეთის ვაჭართ თუმანიშვილებს განეზრახათ თავიანთი მამულის სახელმწიფო ბანკში დაგირავება, მაგრამ თუმანიშვილები არ ეკუთვნოდნენ თავად აზნაურობის წოდებას. ამიტომ მათ ამ დაბრკოლებას ასაცდენად ფიქტიურად (როგორც ისინი ამტკიცებენ) მიჰქიდეს მამული ერთ-ერთ აზნაურს, რომლის სახელითაც მამული ბანკში უნდა დაგირავებულიყო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბანკმა მამული არ დაიგირავა და იგი თუმანიშვილებს უნდა დაბრუნებოდათ.

როდესაც უკანასკნელთ მოიწადინეს მამულის დაბრუნება, გამოჩნდა, რომ ფიქტიური მყიდველი სულაც არა ჰყოქრობს მის დაბრუნებას და თავისად იჩქებეს.

თუმანიშვილებმა მიჰმართეს სასამართლოს და საქმის წარმოება ქუთათურ ნაფიც ვეჟილს ს. დ. ჯაფარიძის მიანდეს.

ეს ფიქტიური გაყიდვა, როგორც ბ-ნი ს. ჯაფარიძე ამტკიცებდა, მოხდა ნაფიც ვეჟილის ბ-ნ კვიციანიძის რჩევით (da ist der hund begraben); კორესპონდენციაში, სხვათა შორის, ისიც იყო მოხსენებული, რომ თავდაპირველად ბ-ნი კვიციანიძე თავის სახელზე ურჩევდა თუმანიშვილებს მამულის დამტკიცებას, მაგრამ როდესაც ეს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, მამული სხვანაირად იყო გაყიდული, მაგრამ ისევ ფიქტიურად და იმაზედ, ვისზედაც ბ-ნმა კვიციანიძემ მიუთითაო. ამის გამო თუმანიშვილების ინტერესების დამცველი ვეჟილი ჯაფარიძე ითხოვდა ნასყიდობის აქტის გაბათილებას.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა თუმანიშვილების საქმე, მამულის გაყიდვა ფიქტიურად სცნო და მამული თუმანიშვილებს მიუსაკუთრა.

ყველა შემოხსენებულ გარემოებას გაუწი-წმატებია ბ-ნი კვიციანიძე და საჩივრით მიუმართავს ქუთაისის ნაფიც ვეჟილთა კრებულისათვის, ჯაფარიძე შხოლოდ იმასა სკდილობს, როგორმე შეურაცხმყოს და დამამციროსო.

ამ საჩივარმა გამოიწვია ბ-ნ ჯაფარიძის ღია წერილი. ბ-ნი ჯაფარიძე ამ წერილში უარსა ჰყოფს იმ ფორმას, მისისა და ბ-ნ კვიციანიძის გასამართლებისას, რომელსაც ბ-ნმა კვიციანიძემ მიჰმართა და თავის პირობებს აცხადებს.

აი სწორედ ამ ღია წერილის შესახებ გვინდა ვსთქვათ ორიოდ სიტყვა.

როგორც შემოხსენებულიდან დაინახავს მკითხველი, ბ-ნ ჯაფარიძეს თუმანიშვილების საქმის დაცვის დროს გაუშუღავებია სასამართლოსათვის, რომ ფიქტიური გაყიდვა, რომლის გაბათილებასაც ის ითხოვდა, მოხდა ნაფიც ვეჟილის ბ-ნ კვიციანიძის რჩევითაო. თუ ეს ასეა (ჯერ-ჯერობით ქუთაისის ოლქის სასამართლომ კიდევაც სთქვა, რომ ეს ასეა), თუ ეს ასეა, ვიმეორებთ, ბ. კვიციანიძის, როგორც ნაფიცს ვეჟილს დიდი ბრალი ედება. იქნება მკითხველმა იკითხოს, რა დიდი ბრალია სხვას მამულის ფიქტიურად გაყიდვა ურჩივო?

ნაფიც ვეჟილი იმითმ ჰქვიან ვეჟილსა, რომ ის ფიცს აძლევს სახარებისა და ჯვრის წინაშე, რომ თავისი მოქმედებით და სიტყვით კანონს ემსახურება, არ დაარღვევს მას, რომ ზნეობის და ყოველივე რიგიანობის დამცველი იქნება.

ამიტომ ფიქტიურ ხელშეკრულობის რჩევა, ე. ი. ისეთის ხელშეკრულობისა, რომე-

მისთვის, რომ ვეღარ გუელ-გველუშის⁶) და უღდრის⁷) ციხე ააგეთ (ავიღეთ?) და იმაში აღვანიშვილი ფანსშელო⁸) დაღვა, და ის მოკალ, მეც ეს წყალობა გიყავ, და უმეტესი გარჯილობა აუღია თვისი ხმლით, ორჯელ ჩვენც მივეცი თ წერილით, და ბიჭობა გამოგვიღათ, და არცა რა გეთხოვოთ არას ხელმწიფისაგან ფარაზე ერთი ცხვრის მეტი. რამანცა მებატონემ გაგიტეხოთ და შეგიშლოთ, ისიმცა შეიშლება თავისი სახისგან, შეჩვენებული იყოს ცისა და მიწისაგან, ღვთისაგან, კრებული ანგელოზისაგან და ყოველის რჯულისაგან, არის ამ გუჯრების გამრიგე ბატონიშვილი არჩილ, მოურავი ზაქარია, დამიწერია დავით ქერემელს, აღიწერა, დიდება ღმერთსა.

წარწერა მეორე ქვისა:
1 ქმევეწირე. მეფე გორგასალმ. ჩემი სულისო
2 ხოთ ღუხუხამით. მამული. ზვით და ქვითჩი
3 ლური. ქერმის ხედი შობელს. თვისი სიზვრ

დღეთის მთებამდე. ზოგი მათგანი ცხოვრობს ალვანში (საზოგადოთ წოვა და ჩაღმის შესახებ ნახე ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 328).
*) გველ-გველუშის ციხე უნდა იყოს ჩვენის აზრით გველეთს, ანუ გველეთს, ხევსურეთის სოფელში.
7) ელდარა ეხლა თათრის სოფელია იორის მარცხენა ნაპირზე, სიღნაღის მაზრაში. დასავლეთის მხრით ამ სოფლისა არის ციხე, რომელიც უნდა იყოს ძველი ელდრის ციხე.
8) ფარსმა სოფელია თუშებისა ფარსმის ხეობაში, ანუ პირიქითის ხეობაში.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხედვით გადავანიშვილისა.

აგადმოფუებს იღებენ უფოელ დღე, კვირა უქმეების გარდა,

და დღით:

გ. ი. ტიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — 10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლებას ელექტრონიტით — 9 — 10 ს.

ნ. ა. მუსხიანი — უფრისა, უფლისა და ცხვირისა — 10 — 11 საათამდე.

ი. ბ. ახალაშვილი — კბილის სნეულებანი — 10 — 2 საათამდე.

ს. ნ. შატოლოვი — თვალისა 11 — 12 ს.

ე. ი. შატოლოვი — ბაქრძე-ბაგუშებისა 11 — 12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანისა — 12 — 1 საათამდე.

გ. ლ. მარკვიტაძე — სადამტკიცებელი 12 1/2 — 1 1/2 საათამდე, სამშობობით 3 — 4 საათამდე.

ი. ბ. ბუგაშვილი — სიფილისისა, კანისა და სუნთქვისა — 1 1/2 — 2 საათამდე.

მ. ბ. ბუგაშვილი — შინაგანისა და ბავშვებისა 1 — 2 საათამდე.

ს. ა. დ. თ. ი. თუმანიშვილი — ელვათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს სწორი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარბაზებისა 50 კ.; ოპერაციები — შორიგებობით. კრატო 4 მან. დღე და დაშეშე. ერთი კრატო დარბაზთათვის უფასოსა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სხელი საგინაშვილისა, № 21 (ვარანტოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი (წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

მთავრობის განაპარგულებანი

უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:

მე-118 შუის ქვეითა ზოგის ზღვარდგობიკი მანსურაძე გადაუგანად იქნა შირგინის მე-84 ზოგში.

5 ბრითხმებ რით დუძმებრით. ერთობით თუშებისთვის. წოვსდ ჩლ

6 მასთვის. ამსქმისთვის. რომდვრ. გუელთ. გველუშს. დაელდ

7 რის ციხე ააგეთ დიშში. ალვნი შვილი. ფრსმელიდ. ადგა

8 დისიმო კლმეც ეს წყლობ გიყვ. დუშეტესი გრჯილობ *)

9 აუღია თვისი. ხლმით. ორჯელ. ჩვეც მივეცი თ. წერილით **)

10 აღბუკობა. გმოგვიღათ. დარც. არგეთხოვოთ. არს

11 ხემწიფისგნ. ფარზე. ერთი ცხვრის მეტი. რმც. მებატ

12 ონემ. გაქტეხოთ. და შეგიშლოთ. ისიმც. შეიშლ

13 ება თვისი სახისაგან. შეჩვენებული. იყოს. ცისად

14 მიწისგნ. ხედისგნ. კრებული ანგელოზისგნ. დყო

15 ველის. რჯულისგნ. არის. ამგუჯრების. გამ

16 რიგე. ბატონიშვილი არჩილ მოურვი ზაქარია

*) ეს რვა სტრიქონი მოთავსებულია პირველ გვერდზე ფიცრისა.

**) ეს სტრიქონი მოთავსებულია სისქეზე ქვისა და ადვილი მისახვედრია, რომ აზრით ამ ადგილს არ ეკუთვნის. ქვაზედ ამომჭერელს ალბად გამოჩენინა დაწერის დროს სტრიქონები და შემდეგ განზე დაუწერია.

ფელეგონი

ორი მკვახედ დაწერილი გუჯარი.

წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში ინახება ორი პატარა თხელი ქვის ფიცარი, რომლებზედაც დაწერილია საინტერესო გუჯრები. ქვის ფიცრები რბილი გვარისაა და ძრიელ წააგავთ იმ ქვებს, რომლებსაც ჩვენში დანის საღვსავად ხმარობენ. სიგე პირველი ქვისა არის 5 გოჯი, განი 1 2/3 გოჯი, ქვა ოთხკუთხედი, მხოლოდ ერთი თავი მომრგვალებული აქვს. მეორე ქვა სრული ოთხკუთხედი და პირველზე უფრო სქელი, სიგე აქვს 3 1/2 გოჯი, განი 1 1/2 გოჯი. წარწერა ამ ქვებისა ნუსხა მხედრულია. წერილი გავრცელებულია არა თუ ორივე მხრით ფიცრებისა, არამედ სისქის გვერდებზედაც. წარწერანი მოგვყავს იმ რიგით და წესით, რა რიგითაც და რა წესითაც ნაწერნი არიან ნამდვილზე. პირველ ქვაზე სწერია:

- 1 ქმევეც. მეგორგასლ. მეფემ. უსადვეო. მამული.
- 2 დუყვედ. ური. შესავლი. იდგსელი იტკერსად. იორშუა
- 3 საცა შეიყ რება. დოღუ. ზრმდი. ხე-რბლიანიდ ბბრტიონით.
- 4 ვისი. სხნ ესთე სითიმს ქვეით ბაბ-ნურის ფშ. საქეთ. მით და

17 დამიწერია დვით ქერემელ აღიწერა დიდებ ღმერთს ***)

განზე მომრგვალებული თავისკენ ჯერ სწერია: „30“, შემდეგ ხელჩართულის მსგავსი წარწერაა, ვგანებ ნიშნავს „ქაორონიკონსა“ და ბოლოს „ტშ“.

ჩვენი აზრით, ეს გუჯარი ასე უნდა წავიკითხოთ:

ქ. მივეც მე გორგასალ მეფემ უსადვეო მამული და უყვედური, შესავლით და გასავალით, მტკვარსა და იორს შუა, საცა შეიყრება დოღუზრმდი¹), ხვარბდანი²) და ბასტრონი³), თავისი სახნავ სათესით, იმის ქვეით ბაბანურის⁴) ფშავს აქეთ, მით და ბარით, საძებრით და უძებრით, ერთობით თუშებისთვის, წოვს და ჩადმსთვის⁵), ამ საქ-

***) უკანასკნელი რვა სტრიქონი მეორე გვერდზე სწერია.

1) დოღუზრმდარა ადგილია ეხლა შირაქისა, მდინარე იორის პირზე, მაგრამ აქ სხვა ადგილი უნდა იგულისხმებოდეს.

2) ხვარბლიანი სოფელია ბახტრიონის ახლოს, ეხლა ჰქვია ხორბალა.

3) ბახტრიონი მდებარეობს ილტოსა და ალაზნის შესართავთან, ალაზნის მარცხენა ნაპირზე (ბახტრიონის მდებარეობა ნახე ვახუშტის გეოგრაფიაში, გვ. 320).

4) ბაბანური სოფელია ორი ვერსის მანძილზე ალვანისა, აღმოსავლეთით.

5) წოვა თუშები წინთ ცხოვრობდენ მთაში, წოვათის ხეობაში. ეხლა ცხოვრობენ ბარში, სოფელ ალვანში.

ჩაღმა და გომეწრის თუშები ცხოვრობდენ მომეტე-ბულად მთაში, წოვათის ხეობის დაყოლებზე, დი-

ლიც განზრახულია კანონის გვერდის ასახვევად, თუ ამ რჩევას ნაფიცო ვეჭოლი აძლევს ვისმე, ზემო მოყვანილ ფიცის უარყოფა და დაგმობაა, თავისი მოვალეობის დარღვევა.

აი რა ბრალი ედება ბ-ნ კვირკველიას და აი რას გაუწიწმატებია იგი.

ენახოთ ეხლა, რამდენად კარგს იარაღს მიჰმართა ბ-ნმა კვირკველიამ თავის პირად და პროფესიონალურ ღირსების აღსადგენად. მან მიმართა საჩივრით ნაფიც ვეჭოლთა მთელს კორპორაციას.

ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნ კვირკველიას საჩივარი ნაადრევია: ჯერ თუმანიშვილების საქმე არ გათავებულა და სასამართლოს გარდაწყვეტილება ძალიან არ არის შესული. და როდესაც ეს მოხდება, ე. ი, როდესაც თუმანიშვილების საქმე გათავდება, თუ ეხლანდელი ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცვალა და იგივე დარჩა, მაშინ კვირკველიას საჩივარი მეტრია, რადგან ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებამ ფიქტიურად ცნო ნასყიდობის აქტი.

ჯერ-ჯერობით, ვიმეორებთ, კვირკველიას საჩივარი ნაადრევია.

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სიადრევე ლაზარაკი მეტია. ბ. ჯაფარიძე თანახმაა, რომ ისა და კვირკველია გასამართლებული იყვნენ. მაგრამ ვისგან? აი კითხვა, რომლის გადაწყვეტისაგან დამოკიდებულია თვით საჩივრის მართებულობა და გადაწყვეტა. ბ-ნი კვირკველია სამართალს იძიებს მთელის კორპორაციისაგან. ჩვენ ამგვარი ფორმა გასამართლების მიგვაჩნია სრულებით უხერხულად შემდეგის მიზეზების გამო.

ყველგან, სადაც ნაფიც ვეჭოლთ აქვთ რაიმე თვით-მმართველობა, კორპორაციას გამოყოფილი ჰყავს ამგვარ საქმეებისათვის კომისია. ამგვარი კომისია არსებობს, სხვათა შორის, ტფილისშიც. კომისიის გამოყოფას კი ის აზრი აქვს, რომ მხოლოდ რაიმე საქმისათვის მიჩენილ კაცს (ანუ რამოდენიმე კაცს) შეუძლია დაკვირვებით შესწავლოს საქმე და რიგაინად გადაწყვიტოს იგი.

ყოველ შემთხვევაში ჯერ იმაზე უკეთესი ფორმა არ მოუგონია კაცობრიობას, რომ ორთავე მომჩივანთ თავიანთი განმასამართლებელი კაცები თვითვე აირჩიონ და ამასთან თანასწორად.

ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნი კვირკველია უნდა დასთანხმდეს ჯაფარიძის წინადადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მო-

ქმედება ყოველივე გარეშე მაყურებელში ნამართლიან ეჭვს დაბადებს იმის შესახებ, რომ ბ-ნი კვირკველია უფროსის ისეთს სამართალს, რომელიც სინამდვილეს გამოამტკიცებს. აგრეთვე გვგონია ჩვენ, რომ ქუთაისის ნაფიც ვეჭოლთა კორპორაციამ უარი უნდა სთქვას მოსამართლის როლზე, რადგან იგი in corpore მას ვერ შეასრულებს და იმავე დროს პასუხის მგებელი საზოგადოების წინაშე კი in corpore იქნება.

ბოლოს, თუ ბ-ნი კვირკველია არ დასთანხმდა გასამართლების იმ საუკეთესო ფორმას, რომელზედაც ჯაფარიძე უთითებს მას, უკანასკნელს სრული უფლება ექნება არ დასთანხმდეს ნაფიც ვეჭოლთა კრებულის სამართალს და იძულებულ ჰყოს კვირკველია ოლქის სასამართლოს მიმართოს.

ი. ზ. — შვილი

უურნალ-გაზეთებიდან

✽ ღონღონიდან იტყობინებთან დეპუტით: აქ მის გაგარდა, რომ კიტჩენი ტუგად წაიუგანეს ბურბუშა.

✽ ფრანგული კაზ. „მეტენა-ის ღონღონელი კორესპონდენტი შემდეგ მეტად საინტერესო ცნობებს იწერებს დედოფალ ვიქტორიას ავადმყოფობის შესახებ. უნდა შევნიშნათ, რომ ეს ცნობები კორესპონდენტისათვის ისეთ პირს მიუყვას, რომელიც ძალიან დახლოებულია ინგლისის სამთავროს სასახლესთან:

ამ პირმა ასე დაიწყო თავისი ღონღონელი: დიან, საზოგადოებაში მართლად ამბობენ, რომ დედოფალი ომში მოკვდა... ის გულის ხეთქი, რომელსაც უფრო დღე აუგნებდნენ დედოფალს სამხრეთ-აფრიკიდან მოსული სტირელი ამბები, წარმადგენდა სწორედ სამწესრო სანსაგს...

ეს დაიწყო სწორედ 15 ნოემბერს, როდესაც ომში, თითქმის გათავებულმა, იფეთქა ხსდის ქლიერებთ. ომი გზად დედოფლისათვის მიუხედავად სასიხლო და განუწყვეტელი ტანჯვისა. ომის გარდა აღარაფერ ღონღონობდა, იმისაც კი თხოვლობდა, რომ დაწვრილებით და უკლებლო წაქეითხათ იმისათვის ყველა მოკვლულთა და დაჭრილთა სხელები და გარეობი. დედოფლის და დეპუტის სხელებს სწორედ შაშის ზარს სტემა დედოფალს

ბოლოს დედოფლის ექიმმა ჯემს რეიდი შეშინდა და განკარგულება მოახდინა, რომ აღარ წაქეითხათ სიები და ომზე ხომ სულ ხს აღარ ამოვლოთ დედოფალთან. დედოფალი ბეჯითად თხოვლობდა, რომ ისევ წინაღობურად

ყველაფერი მოეხსენებინათ იმისთვის. იმის ცტუგუბდნ, რომ არაფრითა ამბობა აღარ მოსულსა სმხრეთ-აფრიკიდან, მაგრამ არაფერი არ ეშველა, - დედოფალს ჯერ მად დაეკარგა, შემდეგ ძილი გაუერთა, ბოლოს გასაინებებს ვეღარ შეიძლო, ხოლო ეს გასაინებებს მეტად სკაირთ იყო, რადგან დედოფალი მხოლოდ ამაში და ერთობდა.

თანდათან დონე ელეოდა, ცოტას და ღამა-რავობდა, ყველაფერის ხდისი დაეკარგა და ყველაფერი, რაც წინად უყვარდა, შეიძულა.

იმ დროს (3 იანვარს) დედოფალს უნდა მიეღო ღონღონი რომეტისი. ღონღონს შეატყობინეს დედოფლის გარემოება და გააფრთხილეს. - რომეტისმა კარგად შეასრულა თავისი ძნელი სავანი და ნახევარ საათის აუდიენციამ კარგად ჩაიარა; მაგრამ ფედლმარშალის მეორე შედეგამ სულ სხვა ნაყოფი მოიტანა. აუდიენცია გავრძელდა მთელი საათი; დედოფალი ისე ჩატივდა რომეტისს, რომ მოხუცმა ფედლმარშალმა ვეღარ შეისძლო და... მოახსენა სრული სიმათლქ-დედოფლისათვის ეს სიმათლქ შესად გადაიქცა.

✽ ბურების მამხრე ინგლისელებმა ურჩიეს კრიუკერს, რომ თავისი წარმომადგენლები გაეზავა ვინსონში დედოფალ ვიქტორიას დაკრძალვას.

✽ საფრანგეთიდან იტყობინებთან, რომ იქ ამ ბოლო დროს ბურების კომიტეტები ძლიერ მხედ მოქმედებენ და ჯარის კაცებს აგრძელებენ თავიანთ ქვეყანაში გასაგზავნად. ამ უმად ისინი გამოუცდელ კაცებს აღარ იუჯანენ. იტყვენ მხოლოდ ისეთებს, რომელთაც უკვე შეუსრულებიათ სამხედრო სამსახურის ვადა. ამ დეკემბერში 45 კაცი გაგზავნეს მარსელიდან სამხრეთ აფრიკაში. ესენი დარჩებიან იქ, სანამ ომი არ გათავდება. მათ მიადეს მარსელში 400 ფრანგი თითო და ომის გათავების შემდეგ კიდე მიადებენ 4000 ფრანკს თითო.

✽ გაგვიდან იტყობინებთან, რომ პრეზიდენტი კრიუკერი საფრანგეთის მოაზრობისკენ დაეხილეს დღე და დღე ცნობებს შესახებ სამხედრო მოქმედების ბრძოლის ველზე. ყველა ამ ცნობების თანახმად, ეხლა ბურების ჯარები ტრანსვალში გრძობებიან დელარეს რაზმთან და, ამ გენერლის უფროსობით, ამ მოკლე ხანში უსათუოდ სურთა ძლიერ იერიშს მიიტანენ ნატალზე. ამავე დროს გენერალი ბოტა დედოფალს მხარეს ერთხმად ყველა დაიწვეს მოქმედებას და ეტდება, რომ დელარეში მიმავალი რეინის გზა ხელში ჩაიგდოს. ასე რომ სულ მოკლე ხანში ინგლისის ყველა ხსდამხეობი სამხრეთ აფრიკაში ბურების ხელში იქნება. კარგი

ის არის, რომ ბურები არც კი ჰმალავენ თავიანთ განზრახვებს.

✽ ტანა-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა, რომელიც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ბურების კაი კანცარს და კეთილ-შობილებას:

„გუბინ ერთ ბურის დედაცანს ნება მისცეს, ფრიბურგიდან წარსულიყო მარკატის მთებში თავისი შვილების წამოსვენება. გასაცნობებლად დედაცანს გაატანეს ერთი ინგლისელი ჯარის კაცი. ტანაში ესენი ხელში ჩაუვარდნენ ბურებს. ამათ ინგლისელი ჯარის კაცი თითქმის ფრიბურგამდე მიაცილეს, მისცეს რკ და სხვა სკუმელ-სსმელი და განთავისუფლეს.“

✽ კაზ. „ნუგუელ-ის კორესპონდენტი ამ ტიპებს, რომ კრიუკერს არ მიუწერია დეპუტის თანხმობის გამოსაცხადებლად დედოფალ ვიქტორიასათვის. კრიუკერმა წერილი გაუგზავნა ერთ-ერთ თავის ღონღონელ მეგობარს და მხოლოდ ამ წერილში გამოსცხადა თავისი შწუხარეს დედოფალი ავადმყოფობის გამო. კრიუკერი არასოდეს არ სდებდა დედოფალს იმის პრასს, რასაც ჩემბერლენი და იმის მეგობრები სჩადიონენ. რაც შეეხება წერილებს წინააღმდეგ ამ სსმხლო, უსამართლო ომისა. კრიუკერმა დაიხსნა რაც გაუგზავნა ამისთანა წერილები დედოფალს. როცა ვიკტორიას განდევნა. პრეზიდენტი ძალიან შეწუხდა, მაგრამ, გაისხნა რა ის სსმხლო ტანჯვა, რომელიც იმის ქება გამოიარა და რომელიც დედოფალს შეეძლო ავიდებინა, სინანული გამოთქვა, რომ მოხუცებული დედოფალი თითქმის უბრალო იარაღად იყო აღვირ-სსნილ პოლიტიკოსების ხელში.“

✽ ერთი გაზეთის თანამშრომელს უკითხავს კრიუკერისათვის, იმედა ხომ არ გაქვს, რომ ინგლისის ხსდამა მეფემ ზავი ჩამოაგდოს თქვენთანა. კრიუკერს უპასუხნია, რომ ჩვენ არც დედოფალ ვიქტორიას იმედი გვექნა და არცაღას ხსდ მეფისაგან მოკვლით. ჩვენ ვიმრძობთ და ამას იქით უფრო მიღვარდად ვიმრძობებთ, სინამ ჩვენს ქვეყნების დამოუკლებლობას არ აღვადგენთ.

✽ სამხრეთ-აფრიკიდან იუწებთან, რომ ჯერ ვერ გამოუგვედით კარგად, თუ რა სატყავრია ის სსმხლო ჭირი, რომელიც ჰბლათავს ამ უმად ინგლისელ ჯარებს. ბეკრნი ჰქვიქრობენ, რომ ეს შავი ჭირია, თითქმის ინგლისის მხედლები კი სთვლიან ციებად, ანუ მუცელად. ხოლო ის კი ნამდვილია, რომ ინგლისის ჯარი შეიძლება სულ მოკლე ხანში ერთი ათად შემცირდეს. ამ უკანასკნელ დროს 43 ჯარბაცი მომკვდარიყო ერთ დღეს. ავანთყოფების რიცხვი ხომ ერთობ დიდია. ამ სსმხლო სენის ბრ-

- 4 ით წყრო წისქვილით. მითობრით
- 5 რცმებტონემ შემოლოს წყუული
- 6 იყოს ხელისგნ. ცისად მიწისგნ *)
- 7 ყოველი ღვდელთვრისგნ კრებულ
- 8 იანგელოზისგნ. დყოველი მუშკ
- 9 ცისგნ. რმც მებტნემ. გამო
- 10 სწიროს შეგვნებული სული ეშმ
- 11 კმწიროს. დვით ქერმელი არისა
- 12 მგუჯრების დამწერი წყლობ **)
- 13 თამამისგნ
- 14 მოურვი ზქრია. არილ შენდობი
- 15 არიეს ***).

განზე უწერია ჯერ „აზ“, შემდეგ ჩართულის მსგავსი წარწერაა, ისეთი როგორც პირველ ქვაზე, და შემდეგ სწერია „ტუ“.

ეს მეორე გუჯარი უნდა წავიკითხოთ ასე:

ქ. შევწირე მეფე გორგასალმა ჩემი სულის საოხად დაუსაბამოდ მამული ზეგით და ქვევით ჩიღურა *) ჭერემის დვთის მობეჭეს თავისი ზვართ, წყარო წისქვილით, მთით, ბართ. რამანც მებატონემ შემოლოს, წყუული იყოს ღვთისაგან, ცისა და მიწისაგან,

*) ეს ექვსი სტრიქონი პირველ გვერდზეა მოთავსებული.

**) 7—12 სტრიქონები მოთავსებულია მეორე გვერდზე.

***) მე-13 სტრიქონი მოთავსებულია განის სისქეზე, მე-14 სტრიქონი სისქეზე და მე-15 განის სისქეზე.

*) ჩიღური უნდა იყოს ეხლანდელი სოფელი ჩიღური სიღნაღის მაზრაში, ციე-გომობრის მთაზე, ჭერემის მახლობლათ.

ყოველი მღვდელ-მთავრისაგან, კრებული ანგელოზისაგან და ყოველი მუშა კაციისაგან. რამანც მებატონემ გამოსწიროს, შეჩვენებული სული ეშმაკს შეწიროს. დავით ქერემელი არის ამ გუჯრების დამწერი. წყარობით მამისხენთ მოურავი ზაქარია. არილ შენდობილ არის (არიეს).

ქერემის ეკლესია, რომელიც მოიხსენებდა ამ გუჯრებში, მდებარეობს სიღნაღის მაზრაში, ქერემის წყლის პირზე, სოფელ ქერემში. ვახუშტი, სხვათა შორის, ამ ეკლესიაზე მოგვითხრობს: „ამავე (ქერემის) წყალზედა არს ცივისა ანუ სერეთის მთის სამორისსა ქერემი. იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდ-შენი, გუნბათიანი, და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი მწყემსი შიგნით კახეთისა, და ზის დღესცა“. ქერემელ ეპისკოპოსს საქართველოს ერთობის დროს 40 მამათ მთავართა შორის ექირა მე-37 ადგილი. ქერემის კათედრა არსებობდა 1800 წლამდის. ქერემის ეპისკოპოსთა შორის აქამომდე ცნობილნი არიან: ანტონი, რომელიც ცხოვრობდა მე-XVI საუკ. დასასრულს და რომელიც მიეგება რუსის ელჩს ტატიშჩევს; დანიელი, რომელმაც ვახტანგ მე-VI დროს იმოგზაურა პალესტინაში, და ევლოგი, რომელიც გაემგზავრა რუსეთში 1795 წელს და მიიცივალა მოსკოვში 1801 წ. (ნახ. ვახ. გეოგ. გვ. 315 და ბაქრაძის *Кавказъ въ древн. пам. христианства*, გვ. 66—67). დავით ქერემელი, ჩვენი გუჯრების მწერალი, ცნობილი არ არის.

ზემო მოყვანილ გუჯრებში მოხსენებული ბატონიშვილი და მეფე არილი ჩვენის აზრით არის არილი პირველი ანუ შაჰ-ყული-ხანი, ძე ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთისა, აგტორი ცნობილის კრებულის არილიანი-სა. არილი მეფედ იყო კახეთში (1664—1675) და იმერეთში (1661—1663; 1679; 1690—1691; 1695—1695 და 1698 წწ.). იმერეთში ხუთჯერ გამეფდა და ხუთჯერ გამეფებული იქმნა. გარდაიცვალა მოსკოვში 1712 წელს. ამ რიგათ, ჩვენის აზრით, ზემომოყვანილი გუჯრები ეკუთვნიან მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარს. ამ დროს ცხოვრობდა ზაქარია მოურავიც, რომელიც უნდა იყოს ქიზიყის მოურავი გვართ ენდრონიკაშვილი. ზაქარია მოურავი ბოლოს ბერათ შემდგარა და ყოფილა საკეთ მპყრობელი, ძინამძღვარი, მარტყოფას წმიდა ანტონის მომასტრისა. აქ ზაქარას აუშენებია სამრეკლო 1699 წელს, ერეკლე პირველის დროს. სამრეკლოზე მოიპოვებდა აქამომდე დაცული შვიდ სტრიქონიანი წარწერა:

- 1. ჩვენ: მწდობილმან: ძალისა მლთა
- 2. ებისამან: საკეთ: მპყრობელმან საყდრი-სა: ამისმან:
- 3. ენდრონიკაშვილმან: ქისკის მოურავის ძემან: ზაქარი-
- 4. ამ კელეყავ ძირითგან აღშენებად სამრეკლოსა ამის
- 5. სახსენებლად: სულისა ჩვენისა და ცოდვითა ჩვენთა

6. შესანდობელად: ამინ: მას ჟამსა ოდეს განავებდა მეფობასა

7. საქართველოსასა მეფე: ჰერეკლე: ძის წული მეფის თეიმურაზისა ქქს ტუზ.

ამ რიგად ჩვენ ნაჩვენებ წარწერის ზაქარია და ჩვენ გუჯრებში მოხსენებული ზაქარია მოურავი ერთ და იმავე პირათ მიგვაჩნია, მხოლოდ გუჯრები უფრო აღრინდელ დროს ეკუთვნიან ვიდრე წარწერა. გუჯრები უნდა იყოს დაწერილი არილის კახეთში მეფობის დროს, მამასადამე 1664—1675 წლებს შუა. ამ დროს ცხოვრობდა ალბათ დავით ქერემელიც.

ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება მხოლოდ, რას ნიშნავენ გუჯრების განზე მიწერილი ასოები. ქორიკონებელ მათე წაკითხვა შეუძლებელია, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ მათში თარიღის გამოხატვა სდომებით, მაგრამ ვეღარ მოუხერხებიათ თუ თარიღათ მივიღებთ უკანასკნელ ასოებს, შეიძლება გაქირვებით „ტუ“-დ წავიკითხოთ ქორიკონი და მაშინ წელიწადი გამოვა 1702, მაგრამ ეს შეუძლებელია მიგვაჩინოს საზოგადოდ, ცხადთ სჩანს უფრობა მწერლისა მწიგნობრობაში. გუჯრები მთის ქართველების ენის კილოთია ნაწერი, დავით ქერემელი თვით მთიელებისაგან უნდა ყოფილიყოს. ყოველ შემთხვევაში ეს საბუთები საყურადღებოა ჩვენთვის, როგორც პირველი მაგალითი ქვაზედ ნაწერი გუჯრებისა.

და ის ამავა, რომ კიტხნური არავითარ თვალსაზრისს დასაყრდენს არა წმარტავს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ახალი ამბავი

უკანასკნელი გამოანგარიშებით, ქალაქის თვით-მმართველობას 1901 წელს ექნება 17,410 მან. დეფიციტი. გამგეობამ გადასწავიტა ეს დეფიციტი შეავსოს დასაფასებელ გადასახადების ნედრობების ბეჯითი მოკრებით. გამგეობას იმედი აქვს, რომ წელს ნედრობები უფრო ადვილად იქნება გადახდილი, რადგანაც წელს საქალაქო არჩევნები უნდა მოხდეს.

ტფ. ტრამვაის უსახელო საზოგადოებას განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ ის თანახმაა აიწიოს მისთვის ქალაქს 600 ათასი მანათი ამგვარის პირობებით: 1) საზოგადოებამ უნდა მიიღოს ქალაქისაგან 6% წელიწადში; 2) საზოგადოებას ეს ფული ნაწილ-ნაწილ შეაქვს ქალაქის კასსაში, სახელდობრ-ას-ასი ათასი მანათი, რათა ქალაქს არ დასჭირდეს ერთ-ბაშად დიდის %-ის გადახდა; მაგრამ, თუ ქალაქის ქუჩების მოკირწყვლას მეტი დასჭირდა ერთბაშად, საზოგადოება ვალდებულია დაბატებითი ფულიც შეიტანოს ქალაქის კასსაში; 3) ქალაქმა თავდაპირველად უნდა მოკირწყოს ის ქუჩები, რომლებზედაც ტრამვაი მუშაობს. რომი ითხოვს, რომ ქალაქის თვით მმართველობამ მალე შეატყობინოს პასუხი ამ წინადადებაზე.

გუშინ ტფილ. ვიცე-გუბერნატორის ალუშევსკისა და საგუბერნიო ექიმის ქიქოძის მონაწილეობით დაიწყო მოქმედება ექიმების საგანგებო კომისიამ, რომელსაც საგანადა აქვთ ხელმეორედ შემოწმება ჯარებში ახლად გაწვეულ ახალგაზრდებისა.

კვირას, 21 იანვარს, მოღინის ეკლესიაში გადაუხდილ პანაშვიდი შარშან გარდაცვალებულის მწერლის გ. ა. ჯანშიფვის სულის მოსახსენებლად.

გუშინ-წინ, 21 იანვრისათვის, დანიშნული იყო „ამირ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის“ წევრთა საზოგადო კრება, მაგრამ, რადგანაც საქმაო წევრთა რიცხვი არ დასწრო, კრება გადაიდო 28 იანვრისათვის. კრებას განსახილველად ექნება ამა მიმდინარე 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, აგრეთვე ამოირჩევს სამ წევრს სარევიზო კომისიისა და მათ კანდიდატებს და მოილაპარაკებს იმის შესახებ, გააღონ თუ არა ამხანაგობის დეპოს განყოფილება ტფილისშივე.

ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ანგარიში საზოგადოების მოღვაწეობისა 1900 წელში.

გაზ. „ნოვ. ობოზ“-ს ატყობინებენ, რომ ფოთის ქალაქის თვით მმართველობას ნება მიეცა 250,000 მანეთის საობლიგაციო სესხის აღებისა გზების გასაკეთებლად.

კვირას, 21 იანვარს, ავჭალის ქუჩაზე, სახალხო თეატრში, სცენის მოყვარეთ წარმოდგინეს ცნობილი ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ხათაბაღა“, ბ-ნ გ. სულდუკიანისა; სასიამოვნოა, რომ თითქმის ყველა წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ კარგად შეუსწავლიათ თავიანთი როლები, ასე რომ შედარებით კარგად წარმოდგინეს. წარმოდგენას ჩვეულებრივ ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო.

კვირა საღამოს ტფილისის „კრუჟკის“ დარბაზში კნ. მ. მ. თუმანიშვილის თაოსნობით გაიმართა ბალი ტფილისის სომხურ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. ბალს ორიგინალური ელფერი ჰქონდა: შეასრულეს ჩინური ცეკვა-თამაში, კვადრებს ჩინური მარაგები ეჭირათ ხელში, ბევრს მასლილოსანს ჩინური ტანისამოსი ეცვა. ბალი მხიარული იყო და დიდი შემოსავალი მისცა ხსენებულ საზოგადოებას.

დღეს, 23 იანვარს, ტფილისის სამოსა-მართლო პალატის ბირველი სასხლის სამართ-

ლის დეპარტამენტი განიხილავს საქმეს კონსტანტინე და პეტრე წულუკიძეებისას, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-270 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედებოთ ბრალად.

იმის გამოსარკვევად, თუ რა უნდა მისცენ ქალაქებმა ტრამვაის მეპატრონეთ ტრამვაის გამოყიდვის დროს, დაინიშნება ექსპერტები მხოლოდ სახელმწიფო კანტროლისაგან. არც ქალაქს, არც ტრამვაის მეპატრონეთ არ ეყოლებათ თავიანთი ექსპერტები ამ შემთხვევისათვის.

ამას წინათ ერვიესა და ჟანის მალაზიებში დატუსაღებული საქონელი ძვირფასი ყოფილა. სულ ხაზინას ერგება ჯარიმა 40,000 მანეთზედ მეტი.

ტფილისში წელს გაიხსნა მხოლოდ 121 სასმელების დუქანი, შარშანდღებზედ 29 დუქნით ნაკლები, რაიცა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ წელს უფრო სასტიკად აღსრულებული იქნა კანონის მოთხოვნილება—არ გაიხსნას დუქნები სასწავლებლებისა და ეკლესიების ახლო.

კვირ-დამით ზოლიციის ზარეულ ნაწილში ზოლიციას დაუჭერა 70 კაცი, რომელთაგან 40-ს არ ჰქონია დაწესებული პასპორტები.

შაბათს, 20 იანვარს, ზოლიციის მე 9 ნაწილში კრანსგორის ქუჩაზე ერთი სცენადობა მოხდა. ამ ქუჩაზე მცხოვრებ სულხანაგის 6-7 წლის ქალიშვილი სხვა ბავშვებისა ერთად თამაშობდა ეზოში; ბავშვს შინაგა გაუჩრავს და ცეცხლი გააბე მძვინკვებისა და რიცა ცეცხლი დაუნახავს, შეშინებულს ეზოში დაუწვია სირბილი, რისგანაც ცეცხლი უფრო გაძლიერებულა; ბავშვების წივილზე შიანბნეს კამბონკო, უცებ ტანისამოსი შემოაგდოჯს, ასე რომ ცეცხლი ბავშვს ტანზედ არ მძვინკვებია; ბავშვი შიშისაგან მაინც ასე ავად შეაქნა, რომ სჭირდა კანდა მისი მხეიადის სამკურნალოში გაგზავნა, სცადეს, როგორც შეეძლო, საბრალეო შიშე კარდაცვლიდა.

აი ერთი მაგალითიც, თუ როგორის თავსდობით ატყუებენ ხოლმე ვინმე გულურველიანს. ამათ სადამოს ვერის დადმართში მიდობდა სწარსეთის ქვეშევრდომი იუსუფ-აღა-ვერდ-ოდლი, რომელსაც ერთის უცბობისათვის უკითხავს, მიწრალი ხომ არაინ იცოდა; უცნობს უთქვამს, ზირველი მიწრალი ვარ, წამადი საქმეს მე გაგაკეთებ; ცოტა რომ გაუგლიათ, შეხვედრათ წინ გადაეკ ერთი უცნობა, რომელსაც განუცხადებია, სწარსული ოქროს ფული დაეკარგე, ხომ არ გინახვით. უცნობს ამოუღია ქისა და უთქვამს: აი, მე სულ რუსული ფული მქვსო. იუსუფ-ოდლისაც ამოუღია ქისა და უჩვენებია, რომ მისაც რუსული ფული აქვს სულ 25 მან.; ფულის მაძებარ უცნობს გამოურთმევია ქისა და ისე უშეშვრად ამოუღიდა 25 მან., რომ იუსუფს კარგა ხანს ვერა გაუგებარა. გამოძიებან აღმოუჩინა, რომ ერთი ამ ქრდთაგან ვიდაც სწარსე სულხანაგე ვოფილა, რომელსაც გამოსდევნებია ზოლიციის მოხელე იოსებ ბაგნიძე. ბაგნიძეს სულხანაგე ზოლიციის ექვექვე ნაწილში ე-თ ადგილას მიუშვევკვება და რიცა მისი შეხუტობა დაუბრებია, სულხანაგეს წინააღმდეგობა გაუწევია, ამოუღია იარაღი და მხეხელე მხარში დაუჭრდა და გაქცეულა. გატეძე მხეხედის სამკურნალოში გაგზავნეს.

შაბათს, 20 იანვარს, ზოლიციის მე-10 ნაწილში, ფოთის ქუჩაზე, კარის მხარის მცხოვრები სერგო ანდრასი ქე ქურთიშვილი სიმთურაღის დრას წამოსწევია ტფილისის მცხოვრების ლოტეანისთვის შეუღლეს ანხა ლოტეანისთვის, რომელიც დანით დაუჭრდა შეგელში. დაჭრილი მღე რეინის გზის სამკურნალოში გაუგზავნათ. ექიმების შემოწმებით ლოტეანისთვის შიშე მღე ვოფილა დაჭრილი. დანაშაუე ქურთაშვილი უკვე დაპატიმრეს და გამოძიებან სწარმოეს.

ზოლიციის მე-2 ნაწილში, შორანის მხარის, სოფ. ვერკის მცხოვრებმა იოსებ სანინის ქე კალანდამე განცხადა, რომ ტფილისის მოქალაქემ ბატრატ სქატურაგმა 14 მანეთი მომპარა. სქატურაგო ზოლიციამ უკვე დაპატიმრდა, რომელიც გამოტყდა თავის დანაშაულობაში.

ქეთასის გუბერნიის მცხოვრებს აზ. დავით წულუკიძეს მოუპარავს შაბათს, 20 იან-

ვარს, ზოლიციის მე-5 ნაწილში მცხოვრებ ვასილ სტეფანოვის და მისალოფისათვის სხვა და სხვა ნივთები. წულუკიძე უკვე გამოტყდა დანაშაულობაში, რომელიც შეტეხის ციხეში იქნა დაპატიმრებული. ნივთები უნახეს ვადაც გაუსტყოს, რომელსაც ჩამართვეს და პატრონებს უკვე დაუბრუნეს.

წუხელ, ღამის 11 საათზე, ტფილისის რკინის გზის სადგურზე ცეცხლი მოვიდა მათთვის რეზერვუარს ისეთის ძალით, რომ ცეცხლის გაქრობა მეტად ძნელი შეიქნა.

შეცდომის გასწორება. ცნ. ფურცლის კვირის №-ში, ახალ ამბავში შეცდომით არას დაბეჭდილი ზოგიერთი სხელი და გვარი ამ შირთა, რომელსაც შეუწირავთ ფული ბა. ავალიშვილის ძეგლის აგებისათვის. დაბეჭდილია ე. წ. —სა უნდა იყოს ე. წ. —სა; დაბეჭდილია ა—სა. უნდა იყოს და. ა—სა; დაბეჭდილია აბტაკოვსა, უნდა იყოს აბაკოვსა.

გუშინდელ დეპუტეში კორექტურული შეცდომა შეგვეპარა. დაბეჭდილია „დეკანოზმა“, უნდა იყოს „დეკანაზა“.

პრესსა

„ივერიის“ ჩიორა ქართული ენის დამახინჯებას გვიკვირებს. მართალია, ის მართა ჩვენ არა გვდებს ამ ბრალს, მაგრამ უმთავრესად „ცნ. ფურცელი“ ჰყავს მიზანში ამოღებული და „ცნ. ფურცლიდან“ მოკვავს დამახინჯების მაგალითები... ჩვენ არ შევეუდგებით თავის გამართლებას და არც შეგვიძლიან „ივერიისათვის“ დავიკვებოთ, „ფაქიზი ენა“ გვაქვს; მაგრამ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ „ივერია“ „დღევანე თვალსა შინა თვისსა არა განიცდის“. ყოველ-დღიურ გაზეთში, სადაც ვაღამეტებულის სიჩქარით მუშაობაა საჭირო, ძნელია სტილისტიურ სიმშვენიერებზე ჰქონდეთ მიქცეული მთელი ყურადღება. ამიტომაცაა, რომ ჰკოკლობს ენა უმთავრესად ყოველ-დღიურ გამოცემებში როგორც ქართულში, ისე რუსულშიაც. მაგალითს „ივერიიდან“ მოვიყვანთ და „ჩვეულებრივი ფაქიზი ენა“ „ივერიისა“, რა შევილიც არის, დანახავთ. ამ გაზეთის 26 ნოემბრის №-ში დასტამებულია შემდეგი დებეშა ნიუ-იორკიდან.

„New iork Herald“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: სარწმუნო წყაროდგან შევიტყე, რომ ჩინეთი, მთავრობა, როდესაც მიეცა დიდთა სახელმწიფოთა მოთხოვნილება სასიდიელი უნდა მომეცეს ამ ზარალის აღსადგენად, რომელიც დასახეულ ექსპედიციებმა მოაყენა ჩინეთის ქვეშევრდომთ ზირადლ და ქონებრივად.

შეუდარეთ ამ აბდა-უბდას ის მაგალითები, რომელიც ჩიორას მოკვავს „ცნ. ფურცლიდან“ და თქვენთვის ცხადი იქნება, რომ „ივერია“ სხვის თვალში წველსა ჰხედავს და თავისაში დღევანდ ვერ ამჩნევს. მართლაც, რა ნახა ქართული ენის საწინააღმდეგო ჩიორამ ჩვენს ფრაზაში „ხაზინა კონტრაქტით შეეკრა კაპიტალისტ ვერმიშევს“, ან სვანებს „უქირთ თავის გამოკვება მრავალ-ადგილობრივ ცუდ მიზეზებისა გამო?..“ ამ ფრაზებში ქართული ენის გრამატიკის წინააღმდეგი არ არის-რა, ხოლო იმავე ფელეტონში, რომელიც ჩიორა მგორებს ქართული ენის დამახინჯების შესახებ, ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი:

— მერე, ჩემგან რა გნებათ? შევეკითხე მისის ჩივილ-წუწუნით მოლაღულმა? მოდელუმა შეგვიასტე—ეს უფრო ტფილისელ ქართულ-სომხურ ჟარგონს მოგვაგონებს, ვიდრე „ქართულ ფაქიზს. ენას...“ იმავე ნომრის „ახალ ამბავში“ ვკითხულობთ: „განზრახვა აქვთ სამოქალაქო ექვე-კლასიან სასწავლებელში ფრანგულია და ნემენცურის ენის სწავლა შემოიღონ“. „სამოქალაქო“ ჰნიშნავს „гражданское училище“-ს და არა „народное“, რომელიც საქალაქოდ უნდა ითარგმნებოდეს. მერე ეს „ნემენცური“ სადაურია ნეტავი? ყოველად უმზავის სიტყვა, თუ გინდათ, ეს არის. თურუსული სიტყვა გინდათ იხმართ მაინც-და-მაინც, მაშინ „ნემენცური“ უნდა და არა „ნემენცური“; ხოლო თუ ხალხისგან დამახინჯე-

ბული სიტყვის ხმარება ჰსურს „ივერიის“, მაშ „ლემენცური“ სწეროს, რადგანაც ამ სიტყვის უფრო ხმარობს ხალხი, ვიდრე ნემენცურს.

ვურჩევთ „ივერიის“ თავის „ენას მიაქციოს ყურადღება და შემდეგ სხვებს უკითხოს. მაშინ უფრო მეტი ფასი ექნება მის სამღერავს. ვარდა ამისა იმასაც ნუ დაივიწყებს, რომ სამწერლო ასპარეზზე მუშაობისთვის მარტო გრამატიკის ცოდნა საკმარისი არ არის; რომ ეს ასეა, ამას ჩიორას მოღვაწეობაც გვიმტკიცებს...

გაზ. „კვალი“ თავის უკანასკნელ №-ში ბრძანებს:

„ჩვენი შენიშვნა ეხებოდა იმას, თუ როგორ დაამცირა (კ. აბაშიძემ) ხალხის თვალში აკაკი (აკაკი საქართველოს შეაფურთხა! აი „დანოსი“ ამას ჰქვია), მიწასთან გასწორა გიორგი წერეთელი (უფერულ ცხოვრებას ხატავდა. მკითხველს არაფერი მისცა და სხვ.) და სამაგიეროდ ამაღლა თვის მეგობრები და სხვა“.

წაკითხულის ასეთი გაუგებრობა მარტო „კვალის“ რედაქციას ებატება. ბ. აბაშიძის აღნიშნული ჰქონდა პესიმისტიური მიმართულება ჩვენის ლიტერატურისა და მოკვავდა მაგალითები. ვისაც საქმეზედ ჰსურდა ან ჰსურს ლაპარაკი, უნდა წერილის დედა აზრზედ და ტენდენციანზედ ილაპარაკოს და არა აზრის გადამახინჯებას მოკვავს, როგორც ამას „კვალის“ რედაქცია, ჩვეულებრივსამებრ, სჩადის. აკაკის ერთი ლექსის სიტყვები მოკვანილი იყო მისს პესიმისმის დასამტკიცებლად და არა „დანოსისათვის“, როგორც „კვალი“ ბრძანებს. რაც შეეხება გ. წერეთლის მიერ „უფერულ“ ცხოვრების გამოხატვას, ჩვენ არ გვეგონა, რომ „კვალი“ ამასაც კი ვერ გაიგებდა-ნუ თუ უფერულ ცხოვრების გამოხატვა ავტორის ნიქს ამკირებს. მაშინ ხომ ყველა დიდებული სატირიკოსები უნიკო მწერლებად უნდა ჩაითვალოს! მახლას! მაგრამ ამგვარ საანბანო ქეშმარიტებაზედ, იმ ქეშმარიტებაზედ, რომელსაც მარტო „კვალის“ რედაქციისათვის ვერ მიუგნია, სწორედ არა ღირს ლაპარაკი.

რაც შეეხება „კვალის“ შენიშვნას, ვითომ მესხიშვილის და გველესიანის ამბავში რაიმე „ინტრიგანობა“ (დმერთო, ვინ გვიკვირებს ამას!) იყოს, თავის მართლება ჩვენი დამცირება იქნება.

ადგილობრივ რუსულ-ქართულ გაზეთებში დაუსრულებელი განგარში ასტენს ბ. ბზიკის სახალწლო ნომერში დაბეჭდილ შენიშვნა-ოხუნჯობისა გამო. ასე ეგონება ადამიანს—ეს არის საქართველო დაიღუპა და საჩქაროთ უნდა ეშველოს რამეო. უბედურთ საქმე გამოღვევათ, ალბათ, და იმიტომ შეიმოსნენ რაინდის ფარხალით. ამგვარ სისაცილო განგავისათვის ხმა არ უნდა გაგვეცა, მაგრამ ზოგიერთმა ვაჭბატონებმა ისეთი რამეები დაგვეწამეს, რომ გაჩუმება უხერხულად მიგვანია. „ნოვ. ობოზ“-ის ფელეტონისტი უკვირებს ბ. ბზიკს, ვითომ ის „обрушивается съ цѣлымъ потокомъ обвинений на г. Алексеѣва-Месхиѣва“. ამ ფელეტონისტს, რომელიც სიფრთხილეს გვიქადაგებს, ალბათ, არც წაუკითხავს ბ. ბზიკის წერილი, თორემ „поток“-ებზე ლაპარაკს არ დაიწყებდა. მის ყური მოუკრავს „ბულღარის“ მითქმა-მოთქმისათვის და ქუვას ვგარიგებს. სხვა, უფრო მნიშვნელოვან შემთხვევისათვის გამოიყენოს ფელეტონისტი ეს ქულის დარიგება და „ბულღარის“ ლაყობას ნუ აპყვება... რა გვესმის იმ მითქმა-მოთქმიდან, რომელმაც გაზეთებშიაც გამოილაშქრა? ადამიანს ეგონება, ვითომც ჩვენ ეჭვი შეგვეტანოს ბ. ვლ. მესხიშვილის ნიჭზე. ამხედრებულან სასაცილო რაინდები და ჰყვირან orbi et urbi—როგორ გაბედეთო და სხვა. დაწყნარდით, ბატონებო, ჩვენ თქვენზე ნაკლებ არ ვაფასებთ ბ. მესხიშვილის ნიქს და თქვენზე ნაკლებ არ გვიყვარს ეს არტისტი. ჩვენ ვამტკიცებთ მხოლოდ, რომ ბ. მესხიშვილის ნიქი სასპეკულიაციო გარე-

მოგზად გაუხდით ზოგიერთ არტისტებს და წამ და უწუმ ჰპატიობენ მას ქუთაისიდან მომგებიანი ბენეფისის გასამართავთ. ამის გამო, ზოგი არტისტი თავის ამპლუას შესაფერს პიესას არ ირჩევს, არამედ ისეთს, რომელშიაც თითქმის მარტო ბ. მესხიშვილს შეუძლიან თამაში. ამიტომ ჩვენმა წარმოდგენებმა უკანსკელ დროში უმზავესი ხასიათი მიიღეს, აქაო და ბ. მესხიშვილი თამაშობსო და სხვები რაღა საქროაო! ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამგვარი მიმართულება ხელოვნებისა და თვით ბ. ალექსევე-მესხიშვილის ნიჭის დამცირებაა და არა დაფასება. ბ. ბიკის, შეიძლება, უხერხულად მოუვიდა, რომ საყვედურის სასწორი ბ. მესხიშვილისკენ უფრო გადასწია, ვიდრე ჩვენის დასისაკენ. ეს უხერხულობა რედაქციამ გაასწორა იმით, რომ დაჰბეჭდა ბ. მისხიშვილის პასუხი და არტისტების წერილიც. მაგრამ ეს არ იკმარეს ცრუ რაინდებმა და აქვთ ერთი აურ-ზაური. მათ უთუოდ ჰსურთ ინტრიგანობა დაგვწომონ! ცილის წამებისა და ინტრიგის მორევი მუდამ მსურავ უზადრუკთ მხოლოდ ინტრიგა ელანდებით ყველგან.

დურგალთა ამხანაგობის „ზრომის“ წევრთა საზოგადო კრება.

კვირას, 21 იანვარს, შესდგა დურგალთა ამხანაგობის „ზრომის“ წევრთა საზოგადო კრება ბ-ნ ლ. ფურცელაძის თავმჯდომარეობით. კრებას პირველად განსახილველად წარედგინა კომისიის მოხსენება იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია საზოგადოების ზარალი 1900 წლის 1 იანვრიდან 11 მარტამდე. 1900 წლის 1 იანვრისათვის, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, საზოგადოებას წარსულ წლებიდან მოგება ჰქონდა 542 მან. 8 კაპ. ხოლო, როგორც სარევიზო კომისიის მოხსენებიდან სჩანს, აღნიშნულ სამი თვის განმავლობაში საზოგადოებას იმდენი გასავალი ჰქონია, რომ შემოსავალს ვეღარ დაუფარავს და ამიტომ საჭიროდ უტყვნიათ მონაგებ 542 მ. 8 კ.-დან აეღოთ ფული. კომისიის გამომარეობებით, საზოგადოებას უზარალნია 280 მანეთი და 76 კაპ. როგორც წარსულ კრებაზე, ცხლაც დიდი კამათი გამოიწვია ამ საგანზე; ზოგიერთმა წევრებმა მოითხოვეს მდებარედასახეობად განემარტად და დაესახლებინათ ის მიზეზები, რისგანაც ასე უცებ, სამის თვის განმავლობაში, საზოგადოების კარგად დაყენებული საქმე ქვეითდება და ზარალობს იმდენად, რომ არამც თუ მიმდინარე ზრომის შემოსავალი უწვდება გასავალს, არამედ წინანდელ მოგებულ ფულის ზედ დადებაც საჭირო ხდება. გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნ ა. ახნაზაროვი სარევიზო კომისიის წევრთ ბ-ნთ ქურდიანმა და ციხისთავილმა ზარალის მიზეზად დაასახელეს დაუდევრობა და უთავბოლოობა, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ გამგეობის იმ წევრთ, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდა სახელოსნოს საქმეების მართვა, უსიამოვნობა მოსდიოდათ, ხშირად ქარხანაში არ მოდიოდნენ, რის გამოც ხელოსნებს იმდენი თვალყურის მგდებელი არავინ ჰყავდათ, რომ შემოკვეთილი თუ სხვა რამ სამუშაოები დროზე და რიგიანად გაეკეთებინათ და მით შემოსავლის საქმე გაეძლიერებინათ, მაშინ როდესაც ჯამაგირს კი ყველა პირიანად ღებულობდნენ საზოგადოების თანხიდან. საზოგადოებამ დიდის ხნის კამათის შემდეგ შეიწყნარა ზარალის გამომწვევი მიზეზები და შეუდგა გამგეობისაგან წარედგინა 1 იანვრისათვის წარსულ 1900 წლის ანგარიშის განხილვას, რომლის შინაარსი დაახლოებით ამას წინად ვაგაცანით ჩვენს მკითხველებს. ანგარიში დაამტკიცა კრებამ. კრებამ აგრეთვე განიხილა ანგარიში გამგეობის მოქმედებისა 1 ივლისიდან 1900 წლისა 1901 წლის 1-ლ იანვრამდე. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს,

საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია სულ 4198 მან. 62 კაპ., ხოლო გასავალი ამდენივე. ამა 1901 წლის 1 იანვრისათვის წარსულ წლებიდან წმინდა მოგება აქვს საზოგადოებას სულ 463 მან. 75 კაპ.; ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, კრება შეუდგა გამგეობისა და სარევიზო კომისიის ახალი წევრების არჩევას. ხმის უმეტესობით კანდიდატებად დაასახელეს გიორგი ბერძნიშვილი (21 ხმ.) დავით გიგაური (17 ხმ.) არუთინ ელიკაშვილი (14 ხმ.) ვასილ მინდიაშვილი (13 ხმ.) ცხვედაძე და მიკიტუმოვი. ვიდრე დასახელებულ პირთ ყუთებს დაუდგამდნენ, ლაპარაკი გამოიწვია ბ-ნ ტარუშვილის განცხადებამ იმის შესახებ, რომ კენჭის ყრის ნება ექნება მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც სრული პაი (25 მან.) აქვს შემოტანილი თავმჯდომარის წინადადებისამებრ საზოგადოებამ თითქმის ერთხმად მოისურვა ამ ეამად არჩევანში მონაწილეობა მიეღო ყველა წევრებს, რამდენიც უნდა ჰქონდეთ საწევრო ფული შემოტანილი. კენჭის ყრით ამოირჩიეს გამგეობის წევრებად გ. ბერძნიშვილი, დავით გიგაური და ვასილ მინდიაშვილი, ხოლო მათ კანდიდატებად ელიკაშვილი, ცხვედაძე და მიკიტუმოვი. არჩევანების წინააღმდეგი გახდნენ ა. ახნაზაროვი და ს. ტარუშვილი, რომელთაც განცხადება წარადგინეს, რომ წესდებით ეს არჩევანი უკანონოდ მიგვაჩნიაო, რადგანაც კენჭის ყრის ნება მხოლოდ სრულს პაიანს წევრს აქვსო. კრებაზე კითხვა აღიძრა აგრეთვე ამოცრჩიათ ორი ისეთი წევრი გამგეობისათვის, რომელთაც ქალაქებისა და ანგარიშების შედგენაში დახმარებას გაუწევდა გამგეობას. უმრავლესობამ სურვილი განაცხადა ერთი კაცი ამოვირჩიოთ ამ საქმისთვისაო და კიდევ ერთხმად დაასახელეს ბ-ნი ქურდიანი. ყუთები დაუდგეს მაინც ტარუშვილსა და ქურდიანს. 25 ხმით ამორჩეული იქმნა ქურდიანი. რადგანაც კრება საღამოს 7 საათამდე გაგრძელდა და დამსწრენი მეტად მოიქანცნენ, კრება გადაიდო კვირას, 28 იანვრისათვის, როდესაც უნდა ამოირჩიონ სარევიზო კომისიის წევრები.

პროცენცია

სოფ. ბოლბუ. (სიღნაღის მაზრა). ბოლბუეს ძალიან სიჭკმის სახელი აქვს გავარდნილი ქიზიუში და მთლიან კახეთში. ამ სოფელს ისე ვერ ახსენებთ, რომ რამდენიმე ამათ სიჭკმის დამახასიათებელი არაა არ გაიკონათ. ბოლბუელები დიდს ტყვეს გარს შემოსდომდნენ, სიღნაღის ტანსაცმელი ეხრუჭებოდათ, ზიარისხე ეტკრივებოდათ და, უკან მიჯდომამ ვერ მოეხერხებოთ, ზიარხე ტყავის ისევადნენო, ამბობენ. მერე კი ამათ ელიბო იქნებამდინ წინ წავიდა გრებოთ, რომ ზანტის ზარბაზანი მოიკონა მტრების სწინადმდეგოდ და თუმცა თითონ მსხვერპლი შეიქმნა ამ ზარბაზნის, მაგრამ იმისი თანამოქმენი კი დარწმუნდნენ, რომ თუ ზარბაზნის გახეთქამ ელიბო თავის ამხანაგებით აქვე დახვდა, მაშასადამე მტრის ბანაკში ერთი ოცათ მეტს ამოხრავდა და სხვა. ელიბოს ჩამომავალს ი. ბუგაშვილს უნდოდა სახელი დაეკეთა და თავი ესახელებინა, მაგრამ ხსტომი შეუძლავ და ბუგრის მდომს ცოტაც დაეკარგა. ეს ბუგაშვილი ფულის ამკრეუთ გახვდათ წარსულს წელს ბოლბუში. სისხინო ფული რომ მოაკრავს საზოგადოებდგან, აქედან 1200 მან. შინ დაუჭერია და დახარჩენი კი სახისაში შეუტანია. წლის დამდეგს, როდესაც უნდა განკარგონ, უეცრად გამოაცხადა, წუხელის მე ჩემის ცოლით სხვაგან ვიყავი და სახელმწიფო ფული კი ვიღაც ბორტომქმედთ მიუზარავთო. ადგა ერთი ადიაქოთა, ტანს, ძიება და მითქმა მოთქმა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ვერც დამკარგავმა და ვერც მოხელეთ ქურდები ვერ აღმოაჩინეს. ხაზინა შეუმკას თხოულობს, ბოკული მამასხლის ატანს ძლას, ფული შეავსო,

მამასხლისი სოფელს და სოფელი კიდევ ბუგაშვილს. რაკი რიგინი საბუთი ვერ წარმოადგინა ბუგაშვილმა, სოფელმა იმის სიამართლეში ეკვი შეიტანა და მიჯნო ხელი მის ქონების გაუიღვას დახარჯვის შესავსებად. ქონება საკმაო კარგათ ამოაჩნდა და დახარჯვის შეავსეს, მხოლოდ თითონ კი მიწისთან გასწორდება და ოჯახი სულ მთლიან მოეშლება. არ ვიცი, იქნება მართლაც დაკარგა, მხოლოდ ეს კი აშკარად სჩანს, რომ უკანსკელ ხანებში ბუგაშვილს კარგა ბლომს საქონელი შეუქმნია. თვით ამოდენა ფულის სახლში გაჩერებად ეკვს ჰბადებს მის სიამართლეში, თუმცა არც მამასხლისს მიუძღვის სიამართლე, რომ ამდენი ფული ამდენს ხსნს განჩება ბ. ხელში, რითაც ისიც განსაცდელში ჩაავლო და სოფელიც.

რაკი ბოლბუედ ამდენი ვიღაზარაკე, ურიგო არ იქნება რამდენადმე ახლო გავაგნო მკითხველებს. ბოლბუე ერთი უდიდესი სოფელია, რიცხვით ცნხას კომლს ადგამტება. ქონებითაც სიღნაღის მაზრაში შესამე თუ არა, მეოთხე ადგან მაინც დაიტკნეს. სოფელი ხეხათესას და საქონლის მოშენებას მისდევს. უწინ იწვიათი იყო 25—30 ცხენხედ, ამოდენავე საქონლის და 2000 ცხენხედ ნაკლები ჰქოლოდა ვისმეს, ესეა კი იშვიათად ამდენი საქონელი ჰქვავს ვისმეს უწინ აქ ბამის თესსაც მისდევდნენ, ესეა კი სულ მთლიან ხელი აიღეს. ზურის და ქერის მოსავალმაც საკმაო იგლო და ოჯახების გადარბება და დეიურ მუშაობთ გადატევა თვალსახინო გახდა. სოფლის გადარბებას, სხვათა შორის, მეზობლათ ჩასახლებულ განჯის მაზრის და ჯახხის მაზრის თათრებიც უწიობენ ხელს. ესენი თავისი უფლათ დათარეშობენ ამათ მინდვრებში და უოველ ცინმარე დღეს ერეკბიანს საქონელს, ამ ცოტას ხანში სულ ცოტა—60 სულამდე მსხვილი საქონელი წაუსხამთ და ცხვარს რომ სთავადავი არა აქვს. ამ ახნაზაროვიც ბ. ძმანაშვილს მთელი ფარა დასტაცეს. უწინ არც ბოლბუელები ავლებდნენ და როდესაც თათრები ქურდობით მეტათ შეაწუხებდნენ სოფელს, ესენიც, რამდენიმე ვაჭარე, გადავიდოდნენ იმათ ბინებში და რასაც მოახელებდნენ, გადმორეკავდნენ და სხანამ არ დაუბრუნებდნენ, მანამ თავიანთ დახარჯვას არ მიიღებდნენ. დღეს კი ამათ იარაღი ჩამოართვეს, თათრები კი შეიარაღებულნი არიან. ამას წინეთ ერთმა ოჯახიშვილმა შემოქმედა, თათრებმა შეადდისს დამტაცეს ძროხებიო. ბიჭი ბინაში უოთილიყო მაგრამ, სული ტკბილია, უიარადო იარაღთან რას გააწობდაო. ბერდანკები ჩამოგვართვეს და ძველი თოფებიც ადარა გვაქვს, ზოგი დავამტვრეთ, ზოგიც დაკარგეთო.

ბოლბუეში ერთ კლასინი სამრეკლო სკოლაა, რომელიც ზირველათ ითვლება სამრეკლო სკოლებში. სამკავლითაა ისიც, რომ მთელს მაზრაში მარტო ეს სოფელი ინახავს თავის ხარჯით სკოლას და კარგს ჯამაგირსაც (500 მან). ძღვევს მასწავლებელს. მხოლოდ ეს სკოლა არ არის ნაყოფი სოფლის შეტებისა, არამედ ნაძალადევა და იმიტომაც არის ერთს წერტილზედ გაჩერებული. 900 კომლიან სოფლისთვის ერთ-კლასიანი სკოლა ძალიან ცოტაა. ამ სკოლის გამართვაში დიდი ღვაწლი დასდეს კ. ტ. ბაღაშვილმა და თავ. ლევან ანდრონიკაშვილმა, რომელიც მაშინ ბოქაულათ იყო. ჯერ კიდევ ძლიან ბუგრი რამ არის საჭირო, რომ ბოლბუე ბოლბუელობას და აჯობას გამოეკოს, თუმცა კი ამ ბოლბუედის ძლიან გამოითხიზლა. წარმოიკანეთ იმ ბოლბუელის შვილიშვილი, რომელიც ხარი სხვერში აიყვანა დასაკლავათ, ვაჭრობაშია ჩაერთვა და ორს მოიკანს ღუქანინგ გაუდია, თუმც თავიანთ დიდი ცხვრის ქულს და ღურტუავს კი ვერ გამოითხოვებია, რომელიც შეუფერებულიც არის და მოხურხებულიც ზატარა დახლში ტრიალის დროს.

ელიბოს ქალიშვილი.
რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯანადარა

გამოსაღები ცნობანი

პეტრბურგის ბირჟა 19 იანვარს.

ვექსელის კურსი 3 თვით:	
ლონდონზე 10 ვირგ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	45,92
პარიზზე 100 ფრანკში	37,40
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე	46,30
პარიზზე	37,72
ბირჟის დისკონტი	6 1/2 — 7 1/2

მუილე. გამუ. გოილე

4% სახელმწიფო რენტა	99 1/2
4 1/2% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სა-	96
5% 1-ლ შინავგ. სესხის მომგებ.	—
ბილ. 1864 წ.	—
5% მეორე შინავგ. სესხის მომ-	332 1/2
გებ. ბილ. 1866 წ.	—
5% გირავნ. მომგ. ფურც. სა-	293 1/2
ხელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—
3 1/2% გირავ. ფურ. იმავე ბან-	217 1/2
კისა	88 1/2
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი. 5%	—
გირავნ. ფურცლ.	93
4 1/2% გირავნობ: ფურც. იმავე	—
ბანკისა.	86 1/2
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6%	—
გირ. ფურცლ.	100
5% გირავნ. ფ. რ. იმავე ბანკისა.	92 1/2
5% ოლიგაციები ტფ. საკრუ-	—
ლიტო საზოგ.	93 1/2
4 1/2% ობლიგაცი. იმავე საზოგა-	—
დობისა	—

ბიზნისი

ხორცი ძროხისა	1 ბ. 8 1/2 ბ.
სუკი	15 ბ.
> ცხვრისა	8 1/2 ბ.
> დორისა	12 ბ.
> კამეხისა	8 ბ.
> დორის ბარკალი სადორეთ	15 ბ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბუკნად	
ადგეს, კამეხს—მწვანე, დორს—დამდა).	
ზური ფურსისა	I სკრ. 1 გირ. 5 ბ.
>	II > > > 3 1/2 ბ.
>	III > > > 3
იგივე თორნისა	I > > > 5
>	II > > > 4
>	III > > > 3 1/2
ლაჯაში ჯვ. მამ.	I > > > 6
>	II > > > 4

მიმოსვლა ჩინის ზვის მატარებლისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტრბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირასში ერ. ხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საოფსო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევს 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მ. ზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევს 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მ. ზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საოფსო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).